სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 ივნისი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 07-01/15

,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, 66-ე მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N06-01/136 დადგენილების, ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდიის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 06 დეკემბრის N06-01/137 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 აპრილის №01-02/63 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2025 წლის 14 აპრილის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №2) და ამავე კომისიის თავმჯდომარის, რექტორის მოადგილის 2025 წლის 14 აპრილის №410419 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და 2025 წლის 26 ივნისის სხდომის N07-02/04 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,** N1 დანართის (წესის) პირველი მუხლის **მე-4 პუნქტის ,,ბ“ და ,,გ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ) **,,შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია“,** ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამის სტუდენტს (გარდა სამაგისტრო პროგრამისა), **სწავლების** მე-2 სემესტრიდან, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ

სასწავლო კურსში), ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები (შენიშვნა: საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 x B^1 + A^2 x B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;)";

გ) **,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია",** ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, სწავლების მე-2 სემესტრიდან, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) ,,საშუალო შეწონილი'' ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები (შენიშვნა: საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 x B^1 + A^2 x B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;).''.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილება ამოქმედდეს **2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.**
3. წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი" განთავსდეს ბსუ-ს- ვებგვერდზე.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" და ,,სტუდენტის გზამკვლევი").
5. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**